დამტკიცებულია:
გიმნაზიის რექტორის მიერ
2019 წლის 11 სექტემბერი № 67-ა ბრძანებით

ქუთათელ-გაენათელი

მიტროპოლიტი: /იოანე გამრეკელი/

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის მშობელთა სათათბიროს

დებულება

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულება 2

მუხლი 2. სათათბიროს დებულება 2

მუხლი 3. სათათბიროს მიზნები და ამოცანები 2

მუხლი 4. მშობელთა სათათბიროს ფუნქციებია: 2

მუხლი 5. სათათბიროს წევრობა 2

მუხლი 6. სათათბიროს თავმჯდომარე 3

მუხლი 7. სათათბიროს სხდომა 3

მუხლი 8. დასკვნითი დებულება 3

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ა(ა) იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ,, მშობელთა (კანონიერწარმომადგენელთა) სათათბირო (შემდგომში „სათათბირო“) არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აერთიანებს გიმნაზიის სკოლის მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) კლასების მიხედვით.
2. სათათბირო თავის საქმიანობას წარმართავს გიმნაზიის წესდების, მისიის, შინაგანაწესისა და ამ დებულების შესაბამისად.
3. მოქმედების არეალია ა(ა) იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზია

მუხლი 2. სათათბიროს დებულება

1. სათათბიროს დებულებას შეიმუშავებს გიმნაზიის ადმინისტრაცია გიმნაზიის მოსწავლეთ ამშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) მონაწილეობით, რომელსაც ამტკიცებს გიმნაზიის რექტორი.
2. აღნიშნული დებულებაძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

მუხლი 3. სათათბიროს მიზნები და ამოცანები

1. მშობელთა სათათბირო:
   1.1. ზრუნავს გიმნაზიისა და ოჯახს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობაზე;
   1.2. ზრუნავს ინფორმაციის გავრცელებაზე;
   1.3. იძლევა რჩევებსა და რეკომენდაციებს გიმნაზიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;
2. მშობელთა სათათბიროს შექმნის მიზნები და ამოცანებია:
   2.1. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველყოფა;
   2.2. ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელება;
   2.3. მშობელთა წარმომადგენლის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მონაწილეობითი მართვის პრინციპების დანერგვა, დემოკრატიზაცია;
   2.4. გიმნაზიის მიერ განსახორცელებელ აქტივობებთან და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიწოდება.

მუხლი 4. მშობელთა სათათბიროს ფუნქციებია:

1. განიხილავს სათათბიროს დებულებას;
2. განიხილავს დაამტკიცებს სამოქმედო გეგმას;
3. ორგანიზებას უწევს ღონისძიებებსა და საქველმოქმედო აქციებს;
4. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მშობლების აქტიურ ჩართულობას;
5. ირჩევს სათათბირო ორგანოს თავმჯდომარეს.

მუხლი 5. სათათბიროს წევრობა

1. სათათბირო აერთიანებს გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) კლასების მიხედვით.
2. სათათბირო შედგება ყოველი კლასიდან ერთი წარმომადგენლისგან, რომლებიც მონაწილეობენ სხდომებზე თანაბარი სათათბირო ხმის უფლებით.
3. სათათბიროს წევრს უფლება აქვს:
   3.1. ინიციატივით შევიდეს სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის საინტერესო საკითხი;
   3.2. გამოთქვას მოსაზრება განსახილველ საკითხზე;
   3.3. მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა.

4. სათათბიროს წევრი ვალდებულია:
   4.1. დაესწროს სათათბიროს სხდომებს (თუ არ არსებობს გაცდენის ობიექტურიმიზეზი);
   4.2. იზრუნოს სათათბიროს ეფექტურად ფუნქციონირებისთვის;
   4.3. იზრუნოს გიმნაზიის თანამშრომელთა საინფორმაციო უზრუნველყოფაზე სათათბიროს სხდომებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 6. სათათბიროს თავმჯდომარე

1. თავმჯდომარე აირჩევა სასწავლო წლის დასაწყისში, ღია კენჭისყრით, სათათბიროს წევრთა სათათბიროს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
2. თავმჯდომარე:
   2.1. უზრუნველყოფს სათათბიროს სხდომების ორგანიზებას;
   2.2. უძღვება სათათბიროს სხდომებს და ხელმოწერით ამტკიცებს სხდომის ოქმებს;
   2.3. წლის ბოლოს ამზადებს ანგარიშს სათათბიროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
   2.4. სათათბიროს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;
   2.5. წარუდგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს გიმნაზიის ადმინისტრაციას;

მუხლი 7. სათათბიროს სხდომა

1. სათათბიროს ხდომა ტარდება სემესტრში ერთხელ მაინც.
2. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს სათათბირო ორგანოს უხუცესი წევრი.
3. გიმნაზიის ადმინისტრაციის ან სათათბიროს წევრების 1/3 -ის მოთხოვნით ტარდება რიგგარეშე სათათბიროს ხდომა.
4. სათათბიროს რიგგარეშე სხდომის შესახებ წევრები გაფრთხილებული უნდა იყვნენ სამი სამუშაო დღით ადრე მაინც, განსახილველი საკითხების მითითებით.
5. სათათბირო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ:
   5.1. სათათბიროს სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
   5.2. სათათბიროს სხდომა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;
   5.3. ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

1. ყველა შეთანხმება თუ პირობა, რომელიც შეეხება წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, ძალაშია იმ შემთხვევაში თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმი თ და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
2. სათათბროს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სათათბიროსთან შეთანხმებით, რომელსაც ამტკიცებს გიმნაზიის რექტორი